76

-203845349-
-07/10-
საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო
შეტანილია ნორმატიული აქტების
სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული
აქვს სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
-28- მაისი 2007 წ.
N 190020110300380001239

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხების დაუბრუნებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანებების რესტრუქტურიზაციის ზოგად პრინციპებს, ორგანიზაციულ და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე დავალიანებების რესტრუქტურიზაციის თაობაზე წინადადებების წარდგენის, განხილვის, მათ შესახებ გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების წესებს.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) საწარმო – საქართველოს საგადასახადო კოდექსით ან\და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო;

ბ) ორგანიზაცია – საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული და ორგანიზაციად ცნობილი წარმონაქმნი;

გ) კომისია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია;

დ) საწარმოს (ორგანიზაციის) რესტრუქტურიზაცია – საწარმოს (ორგანიზაციის) საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მიმართული ეკონომიკური, სამართლებრივი, ორგანიზაციული, ტექნიკური და სხვა სახის ღონისძიებების ერთობლიობა;

ე) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანება - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის სახსრების ხარჯზე გაცემული სესხებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარანტიით გაცემული კრედიტების დადგენილ ვადაში დაუბრუნებლობის შედეგად წარმოქმნილი დავალიანება;

ვ) გადახდისუუნარობა – საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ დადგენილ ვადაში სასესხო დავალიანების სრულად დაფარვის შეუძლებლობა;

ზ) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაცია - ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების, ჯარიმებისა და მათზე დარიცხული საურავების გაყინვა ან/და გადავადება ამ კანონით დადგენილი წესით;

თ) დავალიანების გაყინვა - ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გადახდის შეჩერება განსაზღვრული ვადით;

ი) დავალიანების გადავადება - ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გადახდის ვალდებულების განვადება;

კ) განსაკუთრებული შემთხვევა:

კ. ა) იმ საწარმოს საპრივატიზებოდ მომზადება მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელების მიზნით, რომელშიც სახელმწიფო ფლობს აქციათა საკონტროლო პაკეტს, აქვს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის სტრატეგიული დანიშნულება ან\და საექსპორტო პოტენციალი;

კ. ბ) საწარმოს (ორგანიზაციის) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების არსებობა, რომელიც წარმოიშვა იმ საქონლის (სამუშაოს, მომსახურების) მიწოდებაზე მიუღებელი ანაზღაურების გამო, რომელიც უნდა დაფინანსებულიყო ბიუჯეტიდან;

ლ) უიმედო სესხი – სასესხო დავალიანება, რომელიც ვერ დაიფარება სასესხო დავალიანების ამოღების უზრუნველსაყოფად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იძულებითი ხასიათის ღონისძიებების გატარების შედეგად, ან\და საწარმო\ორგანიზაცია ამოღებულია სამეწარმეო რეესტრიდან, ან\და სასესხო დავალიანება სასამართლოს მიერ აღიარებულია ხანდაზმულად;

მ) დახმარება – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მხრიდან ერთჯერადი სახით, გარკვეული ვადითა და ნებისმიერი ფორმით გაწეული დახმარება, კერძოდ – ვალების ჩამოწერა, რესტრუქტურიზაცია, სესხების გაცემა ხელსაყრელი პირობებით, სესხის შეღავათიანი გარანტიები, პრეფერენციული პირობები სახელმწიფო შესყიდვების დროს და მოგების მიღების გარანტია, აგრეთვე სხვა უფლების მინიჭება, რომელიც საწარმოს ანიჭებს გარკვეულ უპირატესობას სხვა საწარმოებთან მიმართებაში.

მუხლი 2. ზოგადი დებულებები

1. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაცია, მათ შორის, განსაკუთრებულ შემთხვევაში, ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით და ამ კანონით განსაზღვრული წესით.

2. ამ კანონით დადგენილი წესი ვრცელდება ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის განხორციელების დროისათვის არსებულ ვადაგადაცილებულ სასესხო დავალიანებებზე.

3. საწარმოს (ორგანიზაციას) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის უფლება ეძლევა მხოლოდ ერთხელ, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა.

მუხლი 3. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესები

1. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხს შეისწავლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან არსებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია, რომლის შემადგენლობასა და დებულებას ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. კომისიის შემადგენლობაში, გარდა აღმასრულებელი ხელისუფლების

წარმომადგენლებისა, შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე.

2. კომისიას უფლება აქვს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის საკითხის შესწავლისას მოიწვიოს საწარმოს (ორგანიზაციის), შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები.

3. კომისია იღებს შემდეგ გადაწყვეტილებებს:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადება ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის შესახებ;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადება უიმედო სასესხო დავალიანებების ჩამოწერის შესახებ;

გ) ცალკეული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების ოდენობის დაზუსტების შესახებ, სასესხო დავალიანების საწარმოსაგან დამოუკიდებელი მიზეზებით წარმოშობის გათვალისწინებით;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადება ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების გარკვეული ოდენობების პატიების შესახებ;

ე) ცალკეული სასესხო დავალიანების მესამე პირისათვის გადაკისრების შესახებ;

ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარუდგინოს წინადადება ცალკეული სასესხო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლების სხვა იურიდიული პირისათვის გარკვეული დისკონტით დათმობის შესახებ.

4. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის საკითხის შესასწავლად საწარმო (ორგანიზაცია) კომისიას წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელის წერილობით მიმართვას;

ბ) პარტნიორთა (აქციონერთა) კრების, უფლებამოსილ პირთა გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ;

გ) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის განხორციელების შესახებ იმ კრედიტორთა თანხმობას, რომელთა მოთხოვნა შეადგენს კრედიტორთა მოთხოვნების საერთო მოცულობის ორ მესამედზე მეტს;

დ) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის გეგმას;

ე) წინადადებებს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების გაყინვის ან/და გადავადების პირობებისა და ვადების შესახებ;

ვ) შესაბამისი საგადასახადო ორგანოების მიერ გაცემულ ცნობას ბიუჯეტის მიმართ არსებული დავალიანების (გადასახადების ცალკეული სახეების, ჯარიმებისა და საურავების მიხედვით) შესახებ;

ზ) დებიტორებისა და კრედიტორების სიას (თანხების მითითებით), დამოწმებულს საწარმოს (ორგანიზაციის) ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის მიერ;

თ) ქონების ჩამონათვალს და ამ ქონებაზე საკუთრების უფლების დამადასტურებელ საბუთებს;

ი) აუდიტის დასკვნას ქონების ღირებულების შეფასების დასაბუთებით.

5. კომისია ამ მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული ყველა დოკუმენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს დასკვნის

შესწავლის საფუძველზე ერთი თვის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის მიზანშეწონილობის თაობაზე.

6. კომისიის მიერ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში მზადდება ხელშეკრულების პროექტი საწარმოსა (ორგანიზაციასა) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შორის, რომელშიც აისახება დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პირობები, ვადები, მათი დაფარვის გრაფიკი და რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

7. კომისიის მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო შესაბამის დასკვნასა და ხელშეკრულების პროექტს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის შესახებ.

8. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებები რესტრუქტურიზებულად ითვლება და საწარმო (ორგანიზაცია) რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობას იწყებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით განსაზღვრული თარიღიდან.

9. კომისიის მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი დასკვნა ეგზავნება საწარმოს (ორგანიზაციას). დასკვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებულ არგუმენტებსა და შენიშვნებს, რომელთა გამოც საწარმოს (ორგანიზაციას) უარი ეთქვა ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციაზე.

მუხლი 4. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პირობები

1. განსაკუთრებული შემთხვევის გარდა, ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გაყინვის ვადა არ აღემატება 24 თვეს, ხოლო ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების გადავადების ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 36 თვისა (გაყინვის პერიოდის დასრულებიდან).

2. რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ სასესხო დავალიანებას გაყინვის პერიოდში პროცენტები და საჯარიმო სანქციები არ ერიცხება.

3. გადავადების პერიოდში რესტრუქტურიზებულ ვადაგადაცილებულ სასესხო დავალიანებას გადაუხდელ თანხაზე ყოველთვიურად ერიცხება სარგებელი 0,5 პროცენტის ოდენობით.

4. რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვა ხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსა და სესხით მოსარგებლე საწარმოებსა ან/და ორგანიზაციებს შორის ურთიერთშეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

5. რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებიდან, პირველ რიგში, იფარება ძირითადი თანხისა და სარგებლის პროცენტის სახით არსებული ნაშთი, ხოლო შემდეგ სესხის ძირითადი თანხისა და სარგებლის პროცენტის გადაუხდელობის შედეგად დარიცხული საურავი.

6. განსაკუთრებულ შემთხვევებში ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის დამატებითი ვადა განისაზღვრება არა უმეტეს 10 წლისა, აქედან, დავალიანების გაყინვის პერიოდი – არა უმეტეს 5 წლისა.

მუხლი 5. საწარმოს (ორგანიზაციის) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის გეგმა

საწარმოს (ორგანიზაციის) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის გეგმა უნდა შეიცავდეს:

ა) მისი საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზს;

ბ) მისი გადახდისუუნარობის განმაპირობებელ მიზეზებს;

გ) ორგანიზაციულ, ტექნიკურ, ტექნოლოგიურ და სხვა სახის ღონისძიებებს, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს საწარმოს (ორგანიზაციის) საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და რესტრუქტურიზებული ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვა;

დ) მისი წარმოების ზრდის, პროდუქციის რეალიზაციის, საწარმოო დანახარჯების, მოგებისა და სხვა სახის ძირითად მაჩვენებლებს;

ე) ფულადი შემოსავლებისა და ფულადი რესურსების გამოყენების გაანგარიშებებს.

მუხლი 6. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის რეჟიმში მუშაობის პირობები

1. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პერიოდში საწარმო (ორგანიზაცია) ვალდებულია:

ა) შეასრულოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში წარუდგინოს ინფორმაცია ამ ხელშეკრულებითა და ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის გეგმით გათვალისწინებული პირობების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

2. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პერიოდში კრედიტორებს, რომლებმაც საწარმოს (ორგანიზაციას) თანხმობა მისცეს დავალიანებათა რესტრუქტურიზაციაზე, არა აქვთ უფლება სასამართლოში შეიტანონ განცხადება საწარმოს (ორგანიზაციის) მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე და სასამართლოში აღძრან საქმე დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 7. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის დამთავრება ან ვადამდე შეწყვეტა

1. ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის ვადა მთავრდება და შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები წყდება:

ა) საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით;

ბ) ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების რესტრუქტურიზაციის პირობებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვის შემთხვევაში;

გ) ამ კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადამდე საწარმოს (ორგანიზაციის) მიერ ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანებების დაფარვის შემთხვევაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების რესტრუქტურიზაციის ვადამდე შეწყვეტისას საწარმოს (ორგანიზაციას) ერიცხება ჯარიმები და საურავები მისი რესტრუქტურიზაციის რეჟიმში არსებობის მთელ პერიოდზე. ასეთ შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო სესხით მოსარგებლე საწარმოს (ორგანიზაციის) მიმართ სასამართლოში აღძრავს სამოქალაქო სარჩელს ვადაგადაცილებული სასესხო დავალიანების დაფარვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **ლევან ვარშალომიძე**

ქ. ბათუმი,
2007 წლის 15 მაისი
№248-უ.ს.გ.ს